

საგამოცდო საკითხები/ქვესაკითხები ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის
სტუდენტებისათვის კოსმეტიკურ-პარფიუმერიული საშუალებების
ტექნოლოგიებში

2022/2023 სასწავლო წელი

1	კოსმეტიკური ნაკრებების რეცეპტურის შესწავლა/შედგენა და მომზადება.
2	სახის კოსმეტიკური ფხვიერი პუდრების, კომპაქტური პუდრების, რეცეპტურის შესწავლა/შედგენა და მომზადება. კეთილხარისხოვნების მაჩვენებლების განსაზღვრა, დაფასოება, შეფუთვა/მარკირება.
3	სახის კოსმეტიკური ფერუმარლის, ჩრდილების, რეცეპტურის შესწავლა/შედგენა და მომზადება. კეთილხარისხოვნების მაჩვენებლების განსაზღვრა, დაფასოება, შეფუთვა/მარკირება.
4	ლოსიონების რეცეპტურის შესწავლა/შედგენა მომზადება, კეთილხარისხოვნების მაჩვენებლების განსაზღვრა, დაფასოება, შეფუთვა/მარკირება.
5	სახის კანის (გამწმენდი, დამცავი, მკვებავი, მათეთრებელი) კოსმეტიკური მალამოების, კრემების რეცეპტურის შესწავლა/შედგენა და მომზადება, კეთილხარისხოვნების მაჩვენებლების განსაზღვრა, დაფასოება, შეფუთვა/ მარკირება.
6	სახის კანის (გამწმენდი, დამცავი, მკვებავი, მათეთრებელი) კოსმეტიკური კრემ-საპნების, გელების რეცეპტურის შესწავლა/შედგენა და მომზადება, კეთილხარისხოვნების მაჩვენებლების განსაზღვრა, დაფასოება, შეფუთვა/ მარკირება.
7	თმის მოვლის კოსმეტიკური საშუალებების (საპონი, შამპუნი, თმისა და თმის ძირების სამკურნალო/მკვებავი კრემი, თმის საღებავი) რეცეპტურის შედგენა და მომზადება.
8	ფრჩხილის მოვლის კოსმეტიკური საშუალებების რეცეპტურის შედგენა და მომზადება.
9	პარფიუმერიული კომპოზიცია. დახასიათება. შედგენის საფძვლები.
10	პარფიუმერიული კომპოზიციის რეცეპტურა.
11	პარფიუმერიული სითხეების ტექნოლოგია.

ტიპობრივი ტესტები ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის
კოსმეტიკურ-პარფიუმერიული საშუალებების ტექნოლოგიებში

2022/2023 სასწავლო წელი

1. ლოსიონის შემადგენლობაში, რომელი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების შეტანისას მოამზადებთ სუსპენზიას?
ა) ქაფურის, ბ) მენტოლის, გ) თუთიის ოქსიდის, დ) თიმოლის.
2. რომელი მალამო მიეკუთვნება დისპერსიული სისტემის ტიპის მიხედვით ჰეტეროგენულს?
ა) მალამო-ხსნარი, ბ) მალამო-შენაღობი,
გ) ემულსიური მალამო, დ) ექსტრაქციული მალამო.
3. რა დანიშნულებით გამოიყენება ჰიგიენური მოქმედების კოსმეტიკური საშუალებები?
ა) კანის კორექციისთვის, ბ) კანის რეტუმირებისთვის,
გ) კანის სამკურნალოდ, დ) კანის კვებისთვის.